MES 3 23 0000189005

17/02/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე-სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.
2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გვანცა მეტრეველი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

გვანცა ნინიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ევროპული სკოლა

სოფიო ბაზაძე-სკოლის დირექტორი;
თამარ არაბიძე-სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერი;

შპს სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასი
ზურაბ ბიწაძე-სკოლის დირექტორი;

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლა
ნინო დევნოზაშვილი-სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

(ა)იპ - ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზია
მარიამ ტარიელაძე-სკოლის დირექტორის მოადგილე;
ქეთევან გიორგაძე-სკოლის იურისტი;

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს ევროპული სკოლა
ხათუნა ბარაბაძე
ირმა ხუციშვილი

შპს სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასი
მიხეილ ტეფნაძე
ეკატერინე ვეკუა

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლა
ლელა ფიცხელაური
იზაბელა იოსელიანი

(ა)იპ - ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზია
ნანა ედიშერაშვილი
ელენე კალანდაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2023 წლის 03 თებერვალს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს ევროპულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ევროპულ სკოლაში მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, განაცხადა, რომ შპს ევროპულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებისა და შპს ევროპულ სკოლაში მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხების განხილვასთან მიმართ ჰქონდა თვითაცილება, რადგან შრომითი ურთიერთობა აკავშირებდა დაწესებულებასთან. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა დააყენა ა(ა)იპ - ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიის წარმომადგენელმა, კერძოდ, დღის წესრიგს დამატებოდა შემდეგი ერთი საკითხი: შპს ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიის (ს/კ: 245443006) ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

წარმოდგენილი შუამდგომლობის გათვალისწინებით, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:
1. შპს ევროპულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ევროპულ სკოლაში მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა;

1. შპს ევროპულ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და ირმა ხუციშვილმა.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, განაცხადა, რომ შპს ევროპული სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ი. სხირტლაძის ქ. N2-ში და კ. ქუთათელაძის ქ. N10-ში. მისი თქმით, დაწესებულება საქმიანობას ახორციელებდა ორ მისამართზე და განთავსებული იყო ორ სხვადსხვა შენობაში. ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა მიერ მონიტორინგი განხორციელდა დაწესებულების ახალი შენობის მატერიალური რესურსის შემოწმების მიზნით. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის პირველ მისამართზე განთავსებული შენობის საერთო ფართი 16310 კვ. მ. სკოლის შენობა იყო ექვსსართულიანია. სულ სკოლის შენობის ექვს სართულზე მდებარეობდა - 64 საკლასო ოთახი. მეორე მისამართზე, შპს ევროპულ სკოლას აღნიშნული შენობა გადაცემული ჰქონდა იჯარის უფლებით 10 წლის ვადით შპს „მეცნიერების“ მიერ. ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ სკოლის ახალ შენობაში, რომელიც მდებარეობდა კ. ქუთათელაძის N10-ში განთავსებული იყო 37 საკლასო ოთახი. მისი თქმით, საკლასო ოთახებში განთავსებული იყო 600 მოსწავლისთვის განკუთვნილი სასკოლო მერხი და სკამი. ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ კ. ქუთათელაძის ქ. N10-ში არსებულმა შენობებმა, განიცადეს სრული რეკონსტრუქცია. შედგენილი იყო პროექტის გეგმა და დასრულებული იყო ყველა სამუშაო, რაც შენობის კეთილმოწყობასთან და უსაფრთხოებასთან იყო დაკავშირებული, თუმცა, შენობის პროექტთან შესაბამისობა ჯერ არ იყო დადგენილი, რადგან იყო ჩაბარების პროცესში.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა. ის უზრუნველყოფდა მოსწავლეებს, როგორც ბეჭდური, ასევე, ელექტრონული რესურსებით. ექსპერტის თქმით, სკოლაში მოქმედებდა დაწყებითი და საბაზო-საშუალო საფეხურის ბიბლიოთეკები, სადაც წარმოდგენილი იყო სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგნობრივი პროგრამების შესაბამისი წიგნადი ფონდი, რომლებიც შინაარსობრივად ძალიან მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა, როგორც მხატვრულ, ასევე, სამეცნიერო ლიტერატურას. აქვე, ექსპერტმა, განმარტა, რომ სკოლის ახალი შენობის მეხუთე სართულზე განთავსებული იყო ბიბლიოთეკა, რომლის მიზანსაც მოსწავლეებისათვის ძიების, კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და კვლევის პროცესისთვის მხარდაჭერა წარმოადგენდა. ექსპერტის თქმით, ბიბლიოთეკა სთავაზობდა მოსწავლეებს და მასწავლებლებს მრავალფეროვანი რესურსების ფართო არჩევანს, გაციფროვნებული იყო სახელმძღვანელოები და დამხმარე მასალები. ბიბლიოთეკა მოიცავდა სამკითხველო, კომპიუტერული და ჯგუფური პროექტების სივრცეებს.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა 3 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია - ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის და Mac ლაბორატორიის კლასი. მისი თქმით, ლაბორატორიები აღჭურვილი იყო თანამედროვე ლაბორატორიისათვის საჭირო მაგიდებით, გამწოვითა და სხვა ინვენტარით, რომლებიც საჭიროებისამებრ ივსებოდა შესაბამისი მასალითა და რეაქტივებით.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, განაცხადა, რომ სკოლის ახალ შენობაში ფუნქციონირებდა სამედიცინო კაბინეტი, სადაც მუშაობდა ექიმი-პედიატრი. კაბინეტი აღჭურვილი იყო პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო აუცილებელი

სამედიცინო მოწყობილობებითა და მედიკამენტებით. თუმცა, ხათუნა ბარაბაძის თქმით, რადგან სკოლის მეორე შენობა განთავსებული იყო სხვა მისამართზე, სადაც დაწესებულება მიიღებდა 600 მოსწავლემდე, სასურველი იყო სკოლას დამატებით აეყვანა ექიმი. ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია და გამოახადა ვაკანსია შესაბამისი კადრის ექიმის პოზიციაზე აყვანის თაობაზე.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, განაცხადა, რომ სკოლაში შექმნილი იყო ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეებისთვის. კერძოდ, სკოლის შესასვლელში დამონტაჟებული იყო პანდუსი, მოქმედებდა მოძრავი პანდუსი და სკალამობილის ეტლი. ასევე, მოწყობილი იყო ადაპტირებული სველი წერტილი და დამონტაჟებული იყო ლიფტი.
ექსპერტმა, ხათუნა, ბარაბაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას 2021 წლის 28 დეკემბერს ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფთან შპს ,,მეცნიერებასთან“, რომელიც ახორციელებდა დაწესებულების ზედამხედველობას და ჰქონდა წარმოდგენილი დასკვნა, რომლის მიხედვითაც, სკოლის შენობა სრულად აკმაყოფილებდა ექსპლუატაციაში მიღების პირობებს და შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით მდგრადი იყო. აქვე, ხათუნა ბარაბაძემ დასძინა, რომ დაწესებულებამ, ექსპერტების რეკომენდაციის შედეგად, მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შენობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. შედეგად, ვიზუალური კვლევებითა და ექსპერტის ბიუროში წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, დაასკვნეს, რომ კალისტრატე ქუთათელაძის ქ. N10-ში მდებარე საკვლევი შენობის ტექნიკური მდგომარეობა დაკმაყოფილებული იყო და, ასევე, იყო ვარგისი ექსპლუატაციისთვის. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ შენობა ფუნქციური დანიშნულებით წარმოადგენდა სასკოლო დაწესებულებას, მისი ხუთსართულიანი კორპუსი ვერ აკმაყოფილებდა მოქმედი სეისმომედეგი მშენებლობის მუხლი 6, მე-8 ცხრილის შენიშვნების მე-2 პუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, სასკოლო დაწესებულების სართულიანობა არ უნდა აღემატებოდეს სამ სართულს. თუმცა, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ აღნიშნული ექსპერტების მხრიდან არ შეფასებულა, როგორც ხარვეზი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში, დაწესებულების ხუთსართულიან შენობაში რამდენად სწრაფად მოხდებოდა მოსწავლეების შენობის გარეთ გამოყვანა და შენობის დაცლა დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის ადმინისტრაციულმა მენეჯერმა, თამარ არაბიძემ, განმარტა, რომ შენობის მეოთხე სართულს არ გამოიყენებდნენ, როგორც საკლასო სასწავლო სივრცედ და მის ტერიტორიაზე საკლასო ოთახების ნაცვლად მოეწყობოდა საოფისე სივრცე, საკლასო ოთახები კი განთავსდებოდა შენობის პირველ, მეორე და მესამე სართულებზე. მისი თქმით, დაწესებულებაში დამონტაჟებული იყო გარე სახანძრო კიბე, ასევე, ფუნქციონირებდა დამატებით ორი გასასვლელი. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში, მოსწავლეთა ევაკუაცია სწრაფად მოხდებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, რამდენად გაითვალისწინა დაწესებულებამ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია ექიმის აყვანის თაობაზე. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის ადმინისტრაციულმა მენეჯერმა, თამარ არაბიძემ, განმარტა, რომ სკოლაში მუშაობდა ორი ექთანი და 1 ექიმი. დამატებითი ექიმის აყვანაზე დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია და ხდებოდა კადრების გადარჩევა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპული სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-10
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ევროპული სკოლის (ს/კ: 205172917) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, შენობის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი მიღებისთანავე წარმოედგინა ცენტრში.

2. შპს ევროპულ სკოლაში მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და ირმა ხუციშვილმა.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, ისაუბრა დაწესებულების ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლა ახორციელებდა სხვადასხვა საინტერესო და მრავალფეროვან პროექტს, რომელთა შორისაც, ერთ-ერთი იყო პროექტი სახელწოდებით ტროლების ღამე. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან შემდგარმა გუნდმა შექმნა სამაგიდო თამაში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მოსწავლეებისთვის მედიაწიგნიერების ისეთი უნარების განვითარება, როგორიც იყო წყაროს სანდოობის დადგენა. ექსპერტის თქმით, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა იმუშავეს, როგორც შინაარსობრივ, ასევე, ვიზუალურ მხარეზე. შეიქმნა ბარათების დიზაინი, ინსტრუქცია, ასევე, სკოლის FABLAB-ში დამზადდა თამაშის პროტოტიპი. ექსპერტმა, ასევე, ისაუბრა პროექტ SmartOwl2023 შესახებ და აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით გუნდის წევრები, AHS მე-12 კლასის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ კომპიუტერულ მეცნიერებებს, როგორც AP საგანს, ქმნიდნენ კომპიუტერულ თამაშს SmartOwl2023 (JAVA OOP-ს გამოყენებით). ექსპერტის თქმით,

მხიარული, საინტერესო და ინტერაქტიული თამაშის შექმნის დროს მოსწავლეები გაიუმჯობესებესებდნენ პროგრამირების უნარებს და მიიღებდნენ სოფტის შექმნის გამოცდილებას.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, აღნიშნა, რომ სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მესამე სტანდარტთან ხარვეზი არ უფიქსირდებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა საბჭოს წევრებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 1800 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპული სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ევროპულ სკოლას (ს/კ.: 205172917) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1800 მოსწავლით.

საბჭოს წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, შენობის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი მიღებისთანავე წარმოედგინა ცენტრში.

3. შპს სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მიხეილ ტეფნაძემ და ეკატერინე ვეკუამ.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ, განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2022 წლის 06 და 07 დეკემბერს. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ თბილისში, გლდანის მასივის, მეორე მიკრორაიონის N45ა-ში. მისი თქმით, სკოლა ფლობდა არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს დაზუსტებული ფართობით 951.00 კვ.მ. მასზე განთავსებული იყო ოთხსართულიანი შენობა-ნაგებობა: N01/4 საერთო ფართი - 1779.8 კვ.მ. მათ შორის, დამხმარე ფართი - 912.5 კვ.მ. და ავტოსადგომი ფართით - 69 კვ.მ. მიხეილ ტეფნაძის განმარტებით, სკოლამ წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ბრძანება, მასზედ, რომ მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში სკოლის შენობა. მიხეილ ტეფნაძემ განაცხადა, რომ სკოლის მეორე და მესამე სართულზე განთავსებული იყო საკლასო ოთახები, დირექტორის კაბინეტი, კანცელარია, საიზოლაციო ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო ოთახი, დამხმარე ოთახი, ხოლო შენობის პირველ სართულზე მდებარეობდა კომპიუტერული კლასი, დარაჯის ოთახი და, ასევე, სამი ოთახი საწყობისთვის.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რამდენიმე რეკომენდაცია ავტორიზაციის პირველ სტანდარტთან-საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით. მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ მასწავლებლების მიერ შემუშავებული ე.წ. თემატური გეგმები არ მოიცავდა საბაზო საფეხურზე საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ ცნებებს, საკვანძო შეკითხვებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. გამომდინარე აქედან, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, დაეგეგმათ და განეხორციელებინათ სკოლის მასწავლებლების მიერ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სასწავლო პროცესში გამოყენების ხელშემწყობი პროფესიული განვითარების აქტივობები. მიხეილ ტეფნაძემ განმარტა, რომ სკოლა შემაჯამებელი დავალებების კომპონენტში უმეტესად იყენებდა დახურულ და ღია კითხვებიან ტესტს. მისი თქმით, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით, მიმდინარეობდა შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ანალიზით დადგენილ გასაუმჯობესებელ შედეგებზე რეაგირების აქტივობები ზოგადად იყო აღწერილი. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია ყურადღება მიექცია შემაჯამებელი დავალებების ანალიზით დადგენილი გასაუმჯობესებელი მხარეების რეაგირების აქტივობების კონკრეტულ აღწერებს. აქვე, მიხეილ ტეფნაძემ დასძინა, რომ ექსპერტებმა დაწესებულებას პირველ სტანდარტთან დაკავშირებით მისცეს რჩევა, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმებს ცალკეული მიმართულებებით მოეცვა, სულ მცირე, სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი კონკრეტული ნაწილების შინაარსის განხორციელების მონიტორინგის შედეგების შეფასებისა და შემდეგი სასწავლო წლისათვის გასათვალისწინებელი რეკომენდაციების შემუშავების პროცედურები. ასევე, დოკუმენტის შემადგენელ ნაწილებს ჰქონოდათ ერთიანი დოკუმენტის სახე.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ, ისაუბრა, ასევე, დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლის მეოთხე სართულზე მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. სკოლის დირექტორის განმარტებით, ამ სართულზე მომავალში იგეგმებოდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის, კომპიუტერული კლასის, კათედრების სამუშაო ოთახების, სპორტული და სააქტო დარბაზის განთავსება. აღნიშნულთან

დაკავშირებით, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია დაწესებულებას გადაეღობა კიბეები ისე, რომ მოსწავლეს ვერ შეეძლო იმ სივრცეში მოხვედრა, სადაც მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. ლაბორატორიული აღჭურვილობა განთავსებული იყო ღია თაროებზე. ასევე, ლაბორატორიას გააჩნდა დიდი ფანჯარა, რომელიც გამოიყენებოდა ბუნებრივი განიავების საშუალებად, თუმცა, არ ფუნქციონირებდა წყლის ნიჟარა ონკანით. აქედან გამომდინარე, სტანდარტის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია ლაბორატორიაში წყლის ონკანის დამონტაჟების შესახებ. ასევე, ექსპერტთა რეკომენდაციით, სკოლას ლაბორატორიული ინვენტარი უნდა განეთავსებინა ისეთ დახურულ კარადაში, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომი არ იქნებოდა მოსწავლეებისათვის. ექსპერტის თქმით, დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული იყო ინფორმაცია სკოლის შესახებ, აგრეთვე, სიახლეები, ფოტოგალერეა და საკონტაქტო ინფორმაცია. ვებგვერდი განახლების პროცესში იყო და შესაბამისად, ინფორმაცია არასრულად იყო ასახული. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შეევსო სკოლის ვებ-გვერდის ცარიელ მენიუში არსებული განყოფილებები.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ, ისაუბრა ექიმის კაბინეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლაში მოწყობილი იყო სამედიცინო კაბინეტი, რომელსაც ჰქონდა, როგორც ხელოვნური, ისე ბუნებრივი განათების წყარო. კაბინეტში გამართულად ფუნქციონირებდა ხელსაბანი, რომელიც აღჭურვილი იყო თხევადი საპნითა და ხელის გასამშრალებელი ერთჯერადი საშუალებებით. ექსპერტის თქმით, კაბინეტში არ იყო გამოყოფილი პაციენტის გასასინჯი სივრცე. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია გასინჯვის პრივატულობის მიზნით შეეძინა ტიხრული შირმა ან გამყოფი ბარიერით გამოეყო პაციენტის გასასინჯი სივრცე.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ, განაცხადა, რომ ვიზიტის დროს სკოლის ტერიტორია არ იყო სრულად შემოღობილი. მისი თქმით, მოსწავლეებს შეეძლოთ თავისუფლად გასვლა სკოლის ტერიტორიიდან, ხოლო გარეშე პირებს შემოსვლა. სკოლის ადმინისტრაციასა და მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მშობლებს ჰქონდათ ინფორმაცია მოსწავლეების მიერ სკოლის ტერიტორიის ზოგიერთ შემთხვევაში დატოვების შესახებ. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ მოსწავლის გარკვეული დროით სკოლის ტერიტორიიდან გასვლას მშობლები და დამრიგებლები ერთმანეთთან ზეპირსიტყვიერად ათანხმებენ. მიხეილ ტეფნაძემ განაცხადა, რომ დირექტორის განმარტებით, აღნიშნული ფაქტი გამოწვეული იყო სასადილო სივრცის დროებითი დაკეტვით. მიხეილ ტეფნაძის განმარტებით, დარღვეული იყო მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის პრინციპები. გამომდინარე აქედან, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია სკოლის ტერიტორიის შემოღობვის, მოსწავლეთა მიერ სკოლის ტერიტორიის დატოვების კონტროლის მექანიზმის შემუშავებისა და მათი საჭიროების გადაჭრის შესახებ. მიხეილ ტეფნაძემ დაადასტურა, რომ სკოლის ადმინისტრაციამ საავტორიზაციო ვიზიტის მეორე დღეს სსიპ-განათლების ხარისხი განვითარების ეროვნულ ცენტრს გამოუგზავნა ფოტომასალა, სადაც ასახულია ეზოს შემოუღობავი მხარის გადაღობვა.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ, განაცხადა, რომ სკოლაში მოქმედებდა საქმისწარმოების წესი. მიმდინარეობდა გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. მისი თქმით, დაწესებულებამ წარმოადგინა საკადრო ბრძანებების, საერთო ბრძანებების, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი, მოსწავლეთა მოძრაობის ბრძანებების ჟურნალები, ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი მოსწავლეთათვის და მასწავლებელთათვის. ექსპერტ, მიხეილ ტეფნაძის, განმარტებით, სკოლაში ბრძანებები იწერებოდა ხელნაწერი ფორმით, რომლებსაც ცალკეულ შემთხვევებში არ ჰქონდათ კონკრეტული რეკვიზიტები. მაგ.: ბრძანების გასაჩივრების ვადა, საჩივრის წარდგენის

დაწესებულება და მისი მისამართი. გამომდინარე აქედან, ექსპერტებმა რეკომენდაციით მიმართეს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელებს, რათა განხორციელებულიყო შესაბამისობა ,,ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან“ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების რეკვიზიტების ნაწილში. ასევე, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების რეგულირების, დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების დოკუმენტაციაზე დატანილიყო. დამტკიცების რეკვიზიტები.

ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ, ასევე, ისაუბრა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ, მასწავლებლების პირადი საქმეების გადამოწმებისას, ერთი მასწავლებლის გარდა, არცერთი მათგანის შემთხვევაში არ იყო წარმოდგენილი სსიპ-შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა ნასამართლეობის შესახებ. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია თანამშრომლების ნასამართლეობის ცნობების წარმოდგენასთან დაკავშირებით. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის შინაგანაწესში გაწერილი იყო თანამშრომელთა შერჩევის, მიღების, წახალისებისა და სანქციების სისტემა. აღწერილი იყო თანამშრომლის დაწესებულებაში დასაქმებისას წარმოსადგენი დოკუმენტაცია, წახალისების სამი (მადლობის გამოცხადება, ფასიანი საჩუქრის გადაცემა; პრემია ან ფულადი ჯილდო და სხვა.) და დისციპლინური სანქციის ოთხი (შენიშვნა, საყვედური, სასტიკო საყვედური, დათხოვნა) ფორმა. განსაზღვრული იყო დისციპლინური სახდელის გამოყენების საფუძვლები, თუმცა, არ ირკვეოდა რომელი დისციპლინური სახდელი რა შემთხვევაში დაეკისრებოდა დასაქმებულს. გამომდინარე აქედან, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, შინაგანაწესში დაეკონკრეტებინა, რომელ დისციპლინურ საკითხს, რა შემთხვევაში გამოიყენებდა დასაქმებულთან მიმართებაში.

მიხეილ ტეფნაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის ჯგუფის დებულება და სამეცნიერო საწარმოო ფირმა ალმასის მასწავლებელთა პროფესიონალური განვითარების, შეფასებისა და წახალისების სისტემა. დოკუმენტების შინაარსები განსაზღვრავდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობებს, აქტივობებში დასაგროვებელ კრედიტთა რაოდენობებსა და შესაბამის შეფასების რუბრიკებს. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებდა საგაკვეთილო დაკვირვებას, აღნიშნული პროცესი არ იყო იდიფერენცირებული მასწავლებლის სტატუსების მიხედვით. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული წესი, შეესაბამებინა „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილებასთან. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, რამდენად გაითვალისწინა დაწესებულებამ ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჰქონდა თუ არა შემუშავებული რაიმე სახის გეგმა დარჩენილი რეკომენდაციების შესასრულებლად. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის დირექტორმა, ზურაბ ბიწაძემ, განმარტა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ, მეოთხე სართულზე არსებული კიბე გადაღობა სპეციალური ბადით, შედეგად, მოსწავლე ვერ შეძლებდა მეოთხე სართულზე ასვლას, სადაც მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. ასევე, სკოლის წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებამ შეიძინა შირმა და განათავსა ექიმის კაბინეტში. ამავდროულად, ზურაბ ბიწაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებამ შეიმუშავა უსაფრთხოების ზომები და მოსწავლე სასწავლო პროცესის დროს მასწავლებლის გარეშე სკოლის გარე ტერიტორიაზე გასვლას ვერ შეძლებდა.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინათ, თუ რატომ ხელმძღვანელობდა დაწესებულება ძირითადად მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით, მაშინ როდესაც 2018 წლიდან დაიწყო მესამე თაობის ეროვნული

სასწავლო გეგმის დანერგვა. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, ზურაბ ბიწაძემ, განმარტა, რომ სკოლა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას ახლა იწყებდა. მისი თქმით, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის შესახებ ტრენინგი მათ არ ჩატარებიათ, ასევე, სკოლის წარმომადგენლის თქმით, ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე დაწესებულებას გვიან მიეწოდა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, რამდენად გაეცნენ ისინი იმ დავალებებს, რომლებსაც დაწესებულება აწვდიდა მოსწავლეებს და, ასევე, რამდენად შეესაბამებოდა აღნიშნული დავალებები ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ, განარტა, რომ ექსპერტებმა შეისწავლეს შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, რის შედეგად, გაირკვა, რომ აღნიშნული დავალებები არ მოიცავდა სააზროვნო უნარებზე ორიენტირებულ შეკითხვებს, ასევე, მოსწავლეებთან ინტერვიუირების შედეგად, დასტურდებოდა, რომ ისინი შემაჯამებელ დავალებებს უმეტეს შემთხვევაში, ასრულებდნენ ტესტური დავალებების სახით. აქვე, ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ, განაცხადა, რომ შემაჯამებელი დავალებების შესწავლისა და ანალიზის შედეგად, ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ მოსწავლეთა შეფასების პროცესსა და სასწავლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამებინა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.
საბჭოს თავმდჯომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 240 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განაცხადა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში საბჭო შუამდგომლობდა ცენტრთან, 2024 სასწავლო წლის ბოლომდე განხორციელებულიყო დაწესებულებაში მონიტორინგი, რომელიც დაადასტურებდა დაწესებულების მიერ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე გადასვლასა და აღნიშნული გეგმის მიხედვით სასწავლო პროცესის წარმართვას. ასევე, როგორც დაწესებულების შიდა ტერიტორიაზე, ასევე, მის გარე ტერიტორიაზე შეიქმნებოდა მოსწავლეებისათვის უსაფრთხო გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასის ადგილების ზღვრული რაოდენობის 240-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი -2

საბჭოს წევრებმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა და შალვა მეკრავიშვილმა მხარი არ დაუჭირეს დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭებას. ეკატერინე კვირიკაშვილის განცხადებით, მან ვერ მოისმინა დაწესებულების მხრიდან დამაჯარებელი პასუხები, რომელიც დაარწმუნებდა სკოლის მიერ საკუთარი მისიის შესრულებას. ასევე, გადაწყვეტილების მიღებისას ის დაეყრდნო ესპერტთა დასკვნას. შალვა მეკრავიშვილმა გაიზიარა ეკატერინე კვირიკაშვილის მოსაზრება.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-3 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სამეცნიერო-საწარმოო ფირმა ალმასს (ს/კ: 202059431) 6 წლის ვადით, მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, 2024 სასწავლო წლის ბოლომდე განხორციელებულიყო მონიტორინგი ავტორიზაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.
საბჭოს წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, დაწესებულების მიერ უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამადასტურებელი ყველა სახის დოკუმენტაცია 2024 წლის 01 სექტემბრამდე წარმოედგინა ცენტრში.

4. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და იზაბელა იოსელიანმა.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, განაცხადა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2022 წლის 14 და 15 დეკემბერს, ბოლნისის მუნიციპალიტეტში. მისი თქმით, დაწესებულება სწავლებას ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სამივე საფეხურზე, ქართულ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლის მისიის შესაბამისად. ექსპერტმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას სურვილი ჰქონდა მეორე უცხოურ ენად მოსწავლეებისათვის შეეთავაზებინა გერმანული და რუსული ენა, თუმცა გერმანული ენის პედაგოგის არარსებობის გამო, ისწავლებოდა მხოლოდ რუსული ენა. ლელა ფიცხელაურის განმარტებით, აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია მოსწავლეებისათვის ასარჩევად შეეთავაზებინა მინიმუმ ორი უცხოური ენა. აქვე, ექსპერტმა, განმარტა, რომ დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია გერმანული ენის პედაგოგის

ასაყვანად, თუმცა გერმანული მასწავლებლის პოზიციის შესაბამისი კადრით უზრუნველყოფა ვერ მოხდა. ლელა ფიცხელაურის თქმით, დაწესებულება დამატებით სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურებად მოსწავლეებს სთავაზობდა საღვთო სჯულსა და ძველ ქართულ დამწერლობას, რომლებშიც მოსწავლე ფასდებოდა ჩათვლის სისტემით. სპორტის სახეობად სკოლას საშუალო საფეხურზე არჩეული ჰქონდა ფეხბურთი, კალათბურთი და მაგიდის ჩოგბურთი.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში სწავლობდა ორი სსსმ მოსწავლე. მისი თქმით, სკოლაში მუშაობდა სპეციალური მასწავლებელი, შემუშავებული იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან სასწავლო და საღმზრდელო მიდგომები. ლელა ფიცხელაურის განცხადებით, სპეციალურ მასწავლებელთან დ ისგ ჯგუფის კოორდინატორთან გასაუბრებით ირკვეოდა, რომ ჯგუფის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართული მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმის დაძლევის პროცესში. ასევე, ისგ ჯგუფის მიერ მკაცრად კონტროლდებოდა სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესი. გარდა ამისა, ისგ ჯგუფის სხდომებზე პერიოდულად განიხილებოდა სსსმ მოსწავლის სწავლის პროცესში წარმოქმნილი სირთულეები და მისი დაძლევის გზები.

საბჭოს სხდომას 17:23 საათზე შეუერთდა საბჭოს წევრი ქეთევან ნატროშვილი.

ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასების წესები შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებს.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, განაცხადა, რომ სკოლაში მოსწავლეების ინტერესების მიხედვით შექმნილი იყო კლუბები, რომელთა შორისაც იყო: ეკო-კლუბი –დედამიწის ქომაგები; ინგლისური ენის კლუბი; მკითხველთა კლუბი; მწვანე ბიზნეს კლუბი; სამოქალაქო განათლების კლუბი-ცვლილებების პიკი; სკოლაში, ასევე, ფუნქციონირებდა ქართული გალობის, ქორეოგრაფიისა და ქართული ხალხური სიმღერების შემსწავლელი წრე.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, განაცხადა, რომ სკოლა განთავსებული იყო შენობა-ნაგებობაში, რომლის საერთო ფართი შეადგენდა 621.8 კვ.მ-ს. მისი თქმით, ქონების მესაკუთრე იყო თვითმმართველი თემი ბოლნისის მუნიციპალიტეტი, რომელსაც უზუფრუქტის ხელშეკრულებით, არსებობის ვადით გადაცემული ჰქონდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიისთვის, რომელმაც სკოლას გადასცა იჯარით, უსასყიდლოდ, მოიჯარის ლიკვიდაციამდე ვადით. ექსპერტის თქმით, სასწავლო კორპუსში განთავსებული იყო 15 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, ლაბორატორია, კომპიუტერული კაბინეტი, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი და მინი სახელოსნო. მისი თქმით, სკოლის ეზოში განთავსებული იყო კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი, თუმცა, დაწესებულებას არ ჰქონდა დახურული სპორტული დარბაზი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას 2018 წლიდან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება სსიპ-ქალაქ ბოლნისის მე-3 საჯარო სკოლასთან სპორტული დარბაზით სარგებლობის შესახებ, ასევე, შედგენილი ჰქონდა გრაფიკი, რის მიხედვითაც, კვირის დღეებში, დღის მეორე ნახევარში, ხოლო შაბათს სრული დღის განმავლობაში სარგებლობდა აღნიშნული ფართით.

ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობით. დამონტაჟებული იყო გამწოვი კარადა და ნიჟარა წყლის სისტემით. მისი თქმით, სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ ექსპერტების მხრიდან მიიღო რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, სკოლას ცდების ჩატარებისათვის განკუთვნილი მაგიდის ზედაპირი შეერჩია ისე, რომ ყოფილიყო წყალგაუმტარი და სადეზინფექციო საშუალებების, მჟავების, ტუტეების, ორგანული გამხსნელებისა და ზომიერად გაცხელების მიმართ მდგრადი. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა სველი წერტილები გოგონებისთვის, ვაჟებისთვისა და მომსახურე პერსონალისთვის. მათ შორის ადაპტირებული იყო ერთი სველი წერტილი.

ექსპერტ, ლელა ფიცხელაურის განცხადებით, დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა წიგნადი ფონდის სრულად დამუშავების პროცესი. ექსპერტის თქმით, გადამოწმებით აღმოჩნდა, რომ სკოლას არ ჰქონდა შეძენილი მე-9-ე, მე-10-ე კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოები, რის შესახებაც, ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას შეეძინა და ბიბლიოთეკაში განეთავსებინა მე-9-ე, მე-10-ე კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოების მინიმუმ ერთი ეგზემპლარი ყველა კლასისა და საგნისათვის, ასევე, წიგნები დაემოწმებინა და დაემუშავებინა საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ მოსწავლეთა და თანამშრომელთა დაცვის მიზნით სკოლაში ფუნქციონირებდა სახანძრო უსაფრთხოების სისტემა. ამ მიზნით ყველა სართული აღჭურვილი იყო ხანძარსაწინააღმდეგო დეტექტორებითა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით-ცეცხლმაქრებით, რომლებიც განთავსებული იყო ევაკუაციის გეგმაში მითითებულ ადგილებზე. ექსპერტის თქმით, სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობით გამოვლენილ ხარვეზებზე დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა რეაგირება: მიწერილობის შესაბამისად, მოხსნილი ჰქონდა ყრუ გისოსები პირველ სართულზე, გაწერილი ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციები და, ასევე, ჩატარებული ჰქონდა სახანძრო წვრთნები. აქვე, ლელა ფიცხელაურმა დასძინა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე, დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება და გადაიხადა მომსახურების საფასური, რის შედეგადაც, დაწესებულებაში დაამონტაჟებდნენ საევაკუაციო კიბეს. ლელა ფიცხელაურის განმარტებით, ექიმის კაბინეტი არ იყო სრულად აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრული ინვენტარით, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულებას უზრუნველეყო ექიმის კაბინეტი ყველა საჭირო ინვენტარით. ლელა ფიცხელაურმა დაადასტურა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა და შეიძინა საკაცე, სამედიცინო შირმა, ასევე, დაწესებულებამ დადო ხელშეკრულება მაცივარი-საყინულის შესაძენად.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ასწავლიდა 36 თანამშრომელი, მათ შორის, 28 მასწავლებელი. მისი თქმით, მასწავლებლების ხელშეკრულებების ანალიზის პროცესის შედეგად, გამოიკვეთა, რომ უსტატუსო მასწავლებლებთან გაფორმებულ პირობიან ხელშეკრულებაში არასწორად იყო მითითებული სამართლებრივი საფუძველი. აქვე, ექსპერტმა დაადასტურა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია სკოლამ გაითვალისწინა და ვიზიტის მსვლელობისას შეიტანა ცვლილებები ხელშეკრულებაში.

ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში სკოლაში შექმნილი იყო დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობდა მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომლების თვითრეალიზებას.

ლელა ფიცხელაურის თქმით, დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადი გაკეთებული ჰქონდა 270 მოსწავლეზე, თუმცა, ექსპერტები აღნიშნულ რაოდენობას არ ეთანხმებოდნენ. მისი განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლაში არსებული საკლასო ოთახების რაოდენობა და ფართი, ასევე, სასწავლო ინვენტარის რაოდენობა იძლეოდა საშუალებას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 250-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, ახორციელებდა თუ არა დაწესებულება ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებული საგნებისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით პროექტულ

სწავლებას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა ნინო დევნოზაშვილი განმარტა, რომ დაწესებულება ხელოვნებისა და სამოქალაქო განათლების მიმართულებით ახორციელებდა პროექტებს. მისი თქმით, მოსწავლეები კერავდნენ ჩანთებს, ასევე, ხატავდნენ ჩანთებზე და ახდენდნენ მათ რეალიზებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლას (ს/კ: 225398272) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით, პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

5. ა(ა)იპ - ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა ედიშერაშვილმა და ელენე კალანდაძემ.

ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2022 წლის 21 და 22 დეკემბერს. მისი თქმით, დაწესებულება იცვლიდა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, გადადიოდა შპს-დან ა(ა)იპ-ზე და ფუნქციონირებას იწყებდა როგორც, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. ექსპერტმა, განაცხადა, რომ სკოლა მდებარეობდა დაბა ჩაქვში. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობდა ქართულ ენაზე. სასწავლო სასწავლო გეგმა წარმოადგენდა 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო დოკუმენტ-პროექტს, რომლის მიხედვითაც, ისწავლებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი. ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვოდა საათობრივი ბადე, რომელიც განსაზღვრავდა საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას. ნანა ედიშერაშვილის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ინკლუზიური საწავლების კონცეფცია და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის. ექსპერტმა განაცხადა, რომ გიმნაზიაში დამატებით საგნებად ისწავლებოდა საღვთო სჯული და ძველი ქართული დამწერლობა. არჩევით საგნებად 2022-2023 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს შესთავაზებდა ფრანგულ ენას, მსოფლიო კულტურას, მეწარმეობის საფუძვლებს, სამედიცინო ბიოლოგიასა და ჯანმრთელობას. ნანა ედიშერაშვილის თქმით, მოსწავლეთა საჭიროებისა და მშობელთა სურვილის შესაბამისად, დაწყებით I-IV კლასებში ჩატარდებოდა გახანგრძლივებული მეცადინეობა. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებს. ექსპერტების თქმით, დაწესებულებისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოსწავლეს დაეხმარებოდა ცოდნის სხვადსხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებაში.

ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებასა და მშობლებს შორის ურთიერთობა რეგულირდებოდა მშობელთა ჩართულობის დებულებითა და ხელშეკრულებით, ასევე, სკოლა მშობელთან საკომუნიკაციოდ გამოიყენებდა ელექტრონულ ჟურნალს. ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში შეიქმნებოდა მშობელთა კომიტეტი 12 წევრით. კომიტეტის წევრი მშობლები ჩართული იქნებოდნენ სკოლის დისციპლინურ კომიტეტშიც. მათი ინიციატივები გათვალისწინებული იქნებოდა რექტორისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ. დაწესებულებას, ასევე, შემუშავებული ჰქონდა მშობელთა კომიტეტის დებულება.

ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმის შეაფსებისა და შემდგომი გაუმჯობესების, სასწავლო პროცესის კონტროლის, სწავლებისა და სწავლის ხარისიხს გაუმჯობესებისა და ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ სკოლაში მოქმედი სწავლისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის სისტემა იძლეოდა სასწავლო პროცესის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების დაგეგმვის შესაძლებლობას.

ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა 16.06.2022 წლის წინარე თხოვების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებელი ეკლესია უსასყიდლოდ სარგებლობისათვის გადასცემდა ააიპ-ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიას უძრავ ქონებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ. ექსპერტის თქმით, არსებული დაზუსტებული ფართობი შეადგენდა 10 077 კვ.მ.-ს, ხოლო მასზე არებული შენობა ნაგებობის ფართი იყო 2476.83 კვ.მ. სკოლა განთავსებული იყო ოთხსართულიან შენობაში, სადაც ფუნქციონირებდა საკლასო ოთახები, კვების ობიექტი, მცირე სპორტული დარბაზი, ადმინისტრაციის ოთახები, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი და სხვა დამხმარე ოთახები. ექსპერტის განცხადებით, სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად დაწესებულება გამოიყენებდა გარე სპორტულ მოედანს, ხოლო უამინდობის დროს სპორტის გაკვეთილები ჩატარდებოდა შენობაში არსებულ მცირე დარბაზში. აქვე, ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, დასძინა, რომ ვიზიტის პერიოდში ლაბორატორიაში არ იყო დამონტაჟებული

გამწოვი კარადა. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია გამწოვი კარადის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟების შესახებ. აქვე, ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და დაამონტაჟა ლაბორატორია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში.
საბჭოს სხდომა17:56 საათზე დატოვა საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილი იყო ელექტროენერგიის უწყვეტი და ცენტრალური გათბობის სისტემით. ასევე, დაწესებულებას მიეწოდებოდა სასმელი წყალი. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას არ ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი, რასთან დაკავშირებითაც, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის თაობაზე. ნანა ედიშერაშვილმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდშივე მოაწყო ადაპტირებული სველი წერტილები.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით, ასევე, ფუნქციონირებდა სამკითხველო ზონა, შემუშავებული და თვალსაჩინო ადგილას გამოკრული იყო ბიბლიოთეკაში მუშაობის წესი. ექსპერტის განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სახელმძღვანელოების შერჩევითი პრინციპით გადამოწმებისას ბიბლიოთეკაში ადგილზე არ იყო დაცული ყველა სახელმძღვანელო. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ბიბლიოთეკა უზრუნველყო ყველა გირიფირებული სახელმძღვანელოთი. ნანა ედიშერაშვილმა დაადასტურა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ სკოლას ექსპერტების მხრიდან მიეცა რჩევა ბიბლიოთეკა უზრუნველეყო მოსწავლეთა სარგებლობისთვის ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, განაცხადა, რომ სკოლის შენობაში ყველა სართულზე განთავსებული იყო ცეცხლმაქრები და გასასვლელის მაჩვენებლები საევაკუაციო გეგმის შესაბამისად. ასევე, სკოლას შემუშავებული ჰქონდა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, განაცხადა, რომ სკოლაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული იყო ექთანი, თუმცა, მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, სკოლას უნდა ჰყოლოდა ექიმი. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში სკოლას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია ეხელმძღვანელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01- 23/ნ-ით. კერძოდ, სკოლის სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა მოეყვანა სრულად შესაბამისობაში ზემოთ აღნიშნულ ბრძანებასთან და გამოეცხადებინა სკოლის ექიმის ვაკანსია. ნანა ედიშერაშვილის თქმით, სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში შეიძინა ზემოაღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული ყველა საჭირო აღჭურვილობა. ექსპერტ, ნანა ედიშერაშვილის, განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაამისად, სკოლას შექმნილი ჰქონდა უსაფრთხოების დებულება, თუმცა, არ იყო შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, რის შემდეგაც დაწესებულებამ ზემოაღნიშნული წესი შესათანხმებლად გააგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.
ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, განაცხადა, რომ სკოლის შიდა პერიმეტრზე (დერეფნებში) დამონტაჟებული იყო 16 ,ხოლო სკოლის გარე პერიმეტრზე 8 ვიდეომეთვალყურეობის კამერა, რომლებიც შეესაბამებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ნანა

ედიშერაშვილმა აღნიშნა, რომ შენობის ვიზუალური დათვალიერების დროს სკოლის მე-4 სართულის საერთო სარგებლობის სივრცე სრულად ვერ კონტროლდებოდა ვიდეოკამერებით, რასთან დაკავშირებითაც, სკოლას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია დაემატებინა 1 შიდა პერიმეტრის ვიდეო კამერა, ხოლო გარე პერიმეტრის ვიდეოკამერა გადაენაცვლებინა ისეთ ადგილას, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა სკოლის ეზოს სრული პერიმეტრის კონტროლი. ნანა ედიშერაშვილმა დაადასტურა, რომ სკოლამ სრულად გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები.

ექსპერტმა, ნანა ედიშერაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო ადამიანური რესურსი. მისი თქმით, ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ დაწესებულებაში მასწავლებლები არ იყვნენ შერჩეული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის N174 ბრძანებისა და საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ 21-ე მუხლით დადგენილ პირობებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, რომ სკოლაში მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმებისას გამოცხადდეს კონკურსი და ამ გზით მოხდეს პირის შერჩევა, სადაც გათვალისწინებული იქნება ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ''მინისტრის N 174ნ ბრძანება და საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ, 21-ე მუხლით დადგენილი პირობები. ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და წერილობით მიმართა მასწავლებელთა სახლს ვებგვერზე www.teachersjob.ge სკოლის რეგისტრაციის თაობაზე. შედეგად, დაწესებულებაში შეირჩა 17 უფროსი, 3 წამყვანი და 3 უსტატუსო მასწავლებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წვერებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშლმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, თუ რას გულისხმობდა სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, საღვთო სჯული სხვა საგნებისგან განსხავებით წარმოადგენდა სწავლების ენასა და ყველა დანარჩენი საგნის სწავლის საშუალებას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, მარიამ ტარიელაძემ, განმარტა, რომ საღვთო სჯული თემატურად დაკავშირებული იყო სხვა საგნებთან, მაგალითად, საღვთო სჯულის სწავლებით, დაწყებითი კლასის მოსწავლეებს უვითარდებოდათ წაკითხულის გააზრებისა და თხრობის უნარები. მოსწავლეები, რომლებიც სწავლობდნენ საქართველოს ისტორიას, საღვთო სჯულის ფარგლებში სწავლობდნენ საქართველოსა და მსოფლიო ეკლესიის ისტორიას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 250 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა ა(ა)იპ-ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიისთვის ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2023 წლის 01 აპრილს. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმებისა და ა(ა)იპ-ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიის ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-7-ე პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ-ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიას (ს/კ: 446971055) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა. საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 01 აპრილი.

6. შპს ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შპს ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლას 2017 წლის 10 აპრილს N60 გადაწყვეტილებით მიენიჭა ავტორიზაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით. დაწესებულება შუამდგომლობდა შპს ფორმით არსებული დაწესებულებისთვის გაუქმებულიყო ავტორიზაცია, რადგანაც დაწესებულებამ ახალი იურიდიული პირის, ა(ა)იპ - ის ფორმით მოიპოვა ახალი ავტორიზაცია და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2023 წლის 01 აპრილი.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ შპს ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი ძალაში შესულიყო 2023 წლის 01 აპრილს.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 20 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მეშვიდე პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, შპს ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლას (ს/კ: 245443006) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 18:23 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა